



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100129917368017

თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/400

30 / მარტი / 2017 წ.

„2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N01/137 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის უფროსის ი. დოლაბერიძის 2017 წლის 29 მარტის N4215 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N01/137 ბრძანებით დამტკიცებული: „ხელბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ფარიკაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „პარალიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ტანვარჯიშის სახეობათა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების პროგრამის“, „ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „საწყლოსნო სპორტის სახეობათა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“, „ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამისა“ და „მძლეოსნობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ არსობრივი ნაწილები დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ტარიელ ხეჩიკაშვილი

